განმარტებითი ბარათი

„გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. **პროექტის წარმდგენი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ თალაკვაძე

2. **პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე - გიორგი ღურჯუმელიძე

3.პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

4. **პროექტით ცვლილების შეტანის მიზეზი :**

ბ.ბ) პროექტით ცვლილებები შედის **„გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმისა და ამ ფორმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის N6 დადგენილებაში (ვებგვერდი** 26/06/2024**წ,** სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016516) და დადგენილებით დამტკიცებული წესის **დანართ 1-ელში** (ა) გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა) **კერძოდ „სფს-ს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს) რეგისტრაციის № ნაცვლად** უნდა მოხდეს დაკორექტირება ტექნიკური შეცდომიდან გამომდინარე და უნდა განისაზღვროს „სემგს“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) რეგისტრაციის № “ დანართი 1-ელის **შესაბამისად;**

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

3. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):**

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.**
ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2024 წლის ---- სექტემბერი.**